საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის დანიაში სამუშაო ვიზიტის ანგარიში

(კოპენჰაგენი, 2023 წლის 23-26 აპრილი)

2023 წლის 23-26 აპრილს გაიმართა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის სამუშაო ვიზიტი დანიაში. 23-24 აპრილს ნიკოლოზ სამხარაძემ მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომაში. 25-26 აპრილს შედგა ორმხრივი შეხვედრები დანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ლარს ლოკე რასმუსენთან; დანიის პარლამენტის თავმჯდომარესთან და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წევრებთან. ვიზიტის ფარგლებში, დანიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა ბრიფინგი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თემაზე, ასევე, შეხვედრები შედგა დანიის წამყვანი ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებთან.

<u>**დანიაში ევროკომისიის წარმომადგენლობაში გამართული ბრიფინგი**</u>

2023 წლის 25 აპრილს, საქართველოს საელჩოსა და დანიაში ევროკომისიის ოფიციალური წარმომადგენლობის თანაორგანიზებით, წარმომადგენლობის ოფისში „ევროპის სახლი“ (Europe House) გაიმართა ბრიფინგი სახელწოდებით: „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზა: შესაძლებლობები და გამოწვევები“. ბრიფინგზე მოხსენებით წარდგა ნიკოლოზ სამხარაძე. ღონისძიებას მოდერაცია გაუწიეს ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, პერ ჰაუგორმა და დანიაში საქართველოს ელჩმა, ნატა მენაბდემ. სესიას კოპენჰაგენში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საგარეო უწყებისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიკოლოზ სამხარაძემ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ, ისაუბრა რეგიონში უსაფრთხოების გაუარესებულ გარემოზე და საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე. კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია, რომელსაც მოსახლეობის 80%-ზე მეტი უჭერს მხარს.

ნიკოლოზ სამხარაძემ ისაუბრა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე, რაც უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებოა. კომიტეტის თავმჯდომარემ მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მძიმე ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ხაზი გაესვა არაღიარების პოლიტიკის მნიშვნელობას და აღინიშნა რუსეთის მხრიდან მსოფლიოს სხვადასხვა მოწყვლად რეგიონში გაძლიერებული გავლენები, რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენს. მან ისაუბრა ნატო-სა და ევროკავშირის სამხედრო მისიებში საქართველოს გამორჩეულ წვლილზე, რასაც დასავლელი პარტნიორებიც დადებითად აფასებენ. საუბარი შეეხო სამხრეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დიალოგის ხელშეწყობის კუთხით საქართველოს მედიატორის როლსა და მშვიდობის ხელშეწყობის საქმეში გატარებულ წარმატებულ ღონისძიებებს.

ნიკოლოზ სამხარაძემ საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მიღწეულ პროგრესზე ვრცლად ისაუბრა და მონაწილეებს გაუზიარა ინფორმაცია ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების მიმდინარე პროცესზე. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს

პროგრესი სხვა კანდიდატ წევრებთან შედარებით, რაც ასევე თვალსაჩინო იყო გასულ წელს განაცხადის წარდგენის პერიოდშიც. აღინიშნა 2023 წლის თებერვალში ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს პროგრესი. დაფიქსირდა მოლოდინი, რომ მიმდინარე წლის ბოლოს გადაწყვეტილება დადებითი იქნება და საქართველო დამსახურებულად მიიღებს კანდიდატის სტატუსს, რადგან ამისათვის არსებობს როგორც ტექნიკური, ისე - პოლიტიკური ნიადაგი.

სესია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რომლის დროსაც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა დააფიქსირეს დანიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ასევე ბულგარეთის, ესპანეთის, ჩეხეთის, ხორვატიის ელჩებმა. შეკითხვები დაისვა შავი ზღვის უსაფრთხოების, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატის სამომავლო განვითარების, ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

ნიკოლოზ სამხარაძემ შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საუბრისას განმარტა, რომ იმ ფონზე, როდესაც რუსეთი აგრესიულ ომს აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს შავი ზღვის სტრატეგიული როლი. შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება როგორც უკრაინის, ისე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას და დასანანია, რომ ბუქარესტის სამიტიდან 15 წლის შემდეგაც ორივე ქვეყანა საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების მოლოდინშია.

„აღმოსავლეთ პარტნიორობასთან“ დაკავშირებით აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე, ფორმატი აღარ არის ეფექტური, ვინაიდან მონაწილე ქვეყნები ევროკავშირთან ინტეგრაციის განსხვავებულ საფეხურებზე იმყოფებიან და პროცესების შემდგომი განვითარება დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომაზეა დამოკიდებული. ამ კონტექსტში, ქართული მხარის მიერ მიღწეული ხელშესახები პროგრესი ევროპელი პარტნიორების მხრიდან სათანადო დაფასებას იმსახურებს.

ახალგაზრდების პრო-ევროპული დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, ნიკოლოზ სამხარაძემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მომხრეა და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია (95%-ს უტოლდება) ახალგაზრდა თაობაში. აღინიშნა ისიც, რომ სტატისტიკურად, წლების მანძილზე, საქართველო „ერასმუს+“ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ევროპულ არჩევანს, რასაც იმედია, უახლოეს მომავალში, ევროპაც შემხვედრი ნაბიჯით უპასუხებს.

<u>**დანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართული შეხვედრა**</u>

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ლარს ლოკე რასმუსენთან, შეხვედრა სამინისტროში 25 აპრილს გაიმართა. შეხვედრას **დანიური მხრიდან** ესწრებოდნენ: ჰენრიკ ვინსერი - ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი, უილიამ ბო - მინისტრის სამდივნო, უფროსი მრჩეველი, ანდრეას ფაბრიციუს რიისი - ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი (საქართველოს დესკ-ოფიცერი), ლუისე იენსენი - მინისტრის თანაშემწე.

საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ: ნიკოლოზ სამხარაძე - პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნატა მენაბდე - დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს ელჩი, თამთა შკუბულიანი - დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი.

ნიკოლოზ სამხარაძემ მადლობა გადაუხადა მინისტრს მიღებისთვის და საქართველოს საგარეო პრიორიტეტებისადმი დანიის მტკიცე მხარდაჭერისთვის; ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან მომენტში, პარტნიორების თანადგომას დიდი მნიშვნელობა აქვს. კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა 2023 წლის ბოლოს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების პრიორიტეტულობაზე, რაც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, განსაკუთრებით უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე შექმნილი რეგიონული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით. ნიკოლოზ სამხარაძემ ხაზი გაუსვა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის კოორდინირებულ მუშაობას ევროკომისიის **12 რეკომენდაციის** მაღალ დონეზე შესრულების მიზნით. გამოითქვა იმედგაცრუება გასულ წელს, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის არ მინიჭებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმ მიღწევებისა და პროგრესისა, რაც ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით, საქართველოს გააჩნია. ამ კონტექსტში, აღინიშნა ევროპის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა და ამ მიზნით, დანიის მხარდაჭერის მნიშვნელობა.

ლარს ლოკე რასმუსენმა გაიზიარა ქართული მხარის პოზიცია პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან მიმართებით და დასძინა, რომ დანია მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას. მინისტრმა „კოპენჰაგენის კრიტერიუმებზე“ რეფერირებით, დამსახურებაზე დაფუძნებულ (merit-based) მიდგომაზე გააკეთა აქცენტი და საქართველოს მიერ რეფორმებისა და ინტეგრაციის კუთხით არსებული გამოწვევების წარმატებით დაძლევაში დანიის მხარდაჭერა დააფიქსირა.

რასმუსენმა ხაზი გაუსვა **14-15 მაისს დაგეგმილ ვიზიტს,** რომელიც საქართველოში მისი პირველი ვიზიტი იქნება და მოუთმენლად ელოდება. მინისტრის თქმით, საქართველოში რეზიდენტი საელჩოს გახსნა უკვე ძლიერი სიგნალია დანიის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივის მხარდაჭერის კუთხით. აღინიშნა, რომ დელეგაციაში დანიის პარლამენტის წევრებიც იქნებიან და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დიალოგის გაგრძელების იმედი გამოითქვა. მისი თქმით, მისასალმებელია ის რეფორმები და დემოკრატიული განვითარება, რასაც საქართველომ მოკლე დროში მიაღწია. რასმუსენის თქმით, თანამედროვე მსოფლიო ისტორიული გამოწვევების წინაშე დგას, უკრაინაში მიმდინარე ომმა გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია, ევროპის ქვეყნები მიდგომების გადაფასებას იწყებენ და თავის მხრივ, დანია ცდილობს ისტორიის სწორ მხარეს დადგეს. აღნიშნულის სადემონსტრაციოდ, მან უკრაინისადმი დანიის მიერ გაწეული უპრეცედენტო დახმარების ფაქტები მოიშველია. რასმუსენმა იქვე დასძინა, რომ დანია ასევე ზრდის დახმარების პაკეტს აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებისათვის, მათ შორის, **საქართველოსთვის** და მეტი პოლიტიკური ჩართულობის იმედი გამოთქვა.

ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს კარგად აქვს გათავისებული „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მნიშვნელობა და ისიც გასაგებია, რომ ეს პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. ამავდროულად, მისი თქმით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს როგორც ახალ, ისე ძველ კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით, ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით გაცილებით უკეთესი მიღწევები აქვს. მეორე მხრივ, კანდიდატის სტატუსის მინიჭება კიდევ უფრო დააჩქარებს და ხელს შეწყობს ამ მოვლენებს, მათ შორის სექტორული ინტეგრაციის პროცესს.

კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმების 50% წარმატებით არის შესრულებული და თანმიმდევრულად გრძელდება სამუშაოები. ნიკოლოზ სამხარაძემ გამოწვევებიც აღნიშნა, რომლებიც რიგი სენსიტიური რეფორმების შესრულების მხრივ

იკვეთება, ასევე გააკეთა განმარტება უცხო გავლენების კანონპროექტთან დაკავშირებით. დანიურ მხარეს განემარტა, რომ კანონპროექტი არასწორი ინტერპრეტაციის „მსხვერპლი“ გახდა და სამწუხაროდ, აღქმული იქნა, როგორც ევროკავშირსა და რუსეთს შორის ერთგვარი არჩევანის კონტექსტში *(ლოკე დაეთანხმა, რომ დანიაშიც სწორედ ასე იქნა გაგებული კანონპროექტი).*

ლარს ლოკე რასმუსენმა მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს ამომწურავი ინფორმაციის გაზიარებისთვის. მინისტრმა, თავის მხრივ, დასძინა, რომ დღესდღეობით, სწორედ აღქმები და ინტერპრეტაციები განსაზღვრავენ პოლიტიკას და ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

საუბრის დასასრულს, რასმუსენმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მოუთმენლად ელის საქართველოში ვიზიტს *(შენიშვნა: 14-15 მაისს, საქართველომ უმასპინძლა ლარს ლოკე რასმუსენის ოფიციალურ ვიზიტს. მის ფარგლებში, მინისტრმა ასევე მოინახულა საოკუპაციო ხაზი).*

<u>მოსმენა დანიის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტში</u>

26 აპრილს, მოსმენის ფორმატში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, დანიის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტში. **დანიური მხრიდან** ხელმძღვანელობდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ჰენრიკ დალი** (ლიბერალური ალიანსი), მასპინძელი მხრიდან ასევე ესწრებოდნენ: ანეტე ლინდი (სოციალ-დემოკრატების პარტია), ტრინე მაქი (წითლებისა და მწვანეების ალიანსი), ალექს არენდტსენი (დანიის სახალხო პარტია), ჰელე ბონესენი (კონსერვატიული პარტია), ევა ესმარქი (კომიტეტის მდივანი), შარლოტე ფაბერი (კომიტეტის საერთაშორისო კოორდინატორი); **ქართული მხრიდან:** ნატა მენაბდე - საქართველოს ელჩი დანიასა და ისლანდიაში, თამთა შკუბულიანი - საელჩოს პირველი მდივანი.

ნიკოლოზ სამხარაძემ მიმოიხილა საქართველოს პრიორიტეტები, ხაზი გაუსვა ევროკავშირში წევრობის ურყევ მიზანს და მიმდინარე წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსის დამსახურებულად მიღების საჭიროებას, ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე წარმოქმნილ გამოწვევებსა და არსებულ საფრთხეებზე.

შეხვედრა **კითხვა-პასუხის** რეჟიმში წარიმართა და ერთ საათს გაგრძელდა.

ჰენრიკ დალი დაინტერესდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სასაზღვრო ზონაში რუსი სამხედროების რაოდენობით, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ხომ არ მოხდა მათი ფრონტის ხაზზე გადაჯგუფება.

ალექს არენდტსენის შეკითხვა რუსეთთან ურთიერთობებს, მათ შორის საქართველოში რუსი მოქალაქეების გაზრდილი რაოდენობის შემოსვლას ეხებოდა. იგი ასევე დაინტერესდა ჯარის გაძლიერების მიმართულებით ქართული მხარის პოზიციონირებით და ნატო-ში ინტეგრაციის კონტექსტში თურქეთთან ურთიერთობებით.

ნიკოლოზ სამხარაძე:

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული რუსი სამხედროები საოკუპაციო ძალები არიან. გასულ წელს, გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცის გაყვანა მოხდა რეგიონიდან, თუმცა, კვლავ აქტიურ ფაზაში დარჩა სამხედრო-ტექნიკური მობილიზება.

რუსეთთან პოლიტიკური თუ დიპლომატიური ურთიერთობები, ცხადია, არ გვაქვს. ერთადერთი ფორმატი, რომელშიც ვსაუბრობთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებია, მათ შორის ევროკავშირისა და ეუთო-ს თანათავმჯდომარეობით, რომელიც, ჯერჯერობით, პროგრესის გარეშეა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას რუსული მხარე არ ასრულებს. ამდენად, რეალურად მხოლოდ გარკვეულ ეკონომიკურ კომპონენტზე თუ ვისაუბრებთ ურთიერთობის კონტექსტში.

რუსეთის მოქალაქეების „შემოდინებაზე“ როდესაც ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ძირითადად, შემოსულთა ნახევარი 1990-იან წლებში ემიგრირებული ქართველები არიან, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამო, ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობა დაკარგეს. ამდენად, შემოსულთა ნახევარს ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენენ. ნაწილმა გამოცხადებული „მობილიზაციის“ ფონზე დატოვა რუსეთი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიხიზნა, საქართველოს ჩათვლით. არიან ოპოზიციური ძალები, ჟურნალისტები, მათ შორის რუსული ოპოზიციური მედია „ДОЖДЬ“ თბილისიდან მაუწყებლობდა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ქართული წარმოშობის რუსების გარდა, ფაქტობრივად, რუსეთის მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დედაქალაქიდან სულ რაღაც 35 კილომეტრში დგანან რუსი სამხედროები და ამ ფონზე, ჩვენს ქვეყანას, ცხადია, რომ სიფრთხილის გამოჩენა მართებს. საქართველოს ძლიერი ჯარი ჰყავს, რეზერვების ჩათვლით, თუმცა, პატარა ქვეყანაა და ცხადია, რაოდენობრივი მაჩვენებლებიც შესაბამისია. ვმუშაობთ ახალ სამხედრო კოდექსზე, აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორებთან. სამხედრო აღჭურვილობა გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით - საზღვაო მიმართულებით.

თურქეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაქვს, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია. ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, თურქეთის ფაქტორი დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.

ანეტე ლინდისა და **ტრინე მაქის** შეკითხვები ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერების პერსპექტივებს შეეხებოდა, მათ შორის დანიის საელჩოს გახსნის საკითხთან მიმართებაში, ასევე იმ სფეროების შესახებ, რომელთა გაძლიერებაც ქართულ მხარეს პრიორიტეტულად მიაჩნია; შეკითხვა დაისვა სხვა ევროპულ ქვეყნებზე, რომლებთანაც მიმდინარეობს მუშაობა თბილისში წარმომადგენლობების გახსნაზე. დანიური მხარე დაინტერესდა მოსახლეობის განწყობებით, ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სტატისტიკით.

ნიკოლოზ სამხარაძე:

რა თქმა უნდა, ძალიან დადებითად ვაფასებთ და მივესალმებით დანიის გადაწყვეტილებას თბილისში რეზიდენტი საელჩოს გახსნის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს არაერთი მიმართულებით ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაძლიერებას, მათ შორის ეკონომიკის, კულტურისა და სხვა მიმართულებით, გაღრმავდება ხალხთა შორის კავშირები.

ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციაა და დანიის მხარდაჭერის იმედი გვაქვს ამ გადამწყვეტ მომენტში.

ორმხრივი თანამშრომლობის სფეროებიდან გამოვყოფდი რამდენიმეს: **განათლება** - მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამები, სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და გამოცდილების გაზიარება; **ენერგეტიკა,** განსაკუთრებით

განახლებადი ენერგიის კუთხით, რაც დანიისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტიულ მიმართულებად ისახება; **ეკონომიკური** თანამშრომლობა და **ტურიზმი** - საქართველო უნიკალური ტურისტული შესაძლებლობების მქონე ქვეყანაა, პანდემიამდე პერიოდში ქვეყანას 9 მილიონი ტურისტი ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მოსახლეობაზე 3-ჯერ მეტია. ველოდებით დანიასთან პირდაპირი ფრენების აღდგენას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ სექტორს; **სოფლის მეურნეობა** - დანია განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ამ კუთხით და ქართული მხარისთვის ღირებული იქნება თქვენი გამოცდილების გაზიარება.

რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანებისადმი მოსახლეობის განწყობებს, მომხრეთა სტატისტიკა ყოველთვის მაღალი იყო, დღესდღეობით, 80%-ზე მეტი უჭერს მხარს ორგანიზაციის წევრობას. რაც შეეხება დანარჩენი 20%-ს, მათი დამოკიდებულება ცალსახად მოწინააღმდეგედ ვერ ჩაითვლება, არამედ იზიარებენ პოზიციას, რომ ქვეყანამ ნეიტრალური გზა აირჩიოს. ამის მიზეზი, გარკვეულწილად, ისიც შეიძლება იყოს, რომ მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, რომელიც საქართველომ ბოლო წლებში, მაგალითად ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით გასწია, ხელშესახები პროგრესი წევრობის გზაზე არ იკვეთება. მართალია დიდი მიღწევები გვაქვს ამ გზაზე, მათ შოროს პრაქტიკული თანამშრომლობის ასპექტში, იქნება ეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), თუ გაძლიერებული შესაძლებლობების ქვეყნის (enhanced opportunities country) სტატუსი და სხვ., თუმცა, ამგვარ ტექნიკურ დეტალებს მოსახლეობის უმეტესობა ვერ აღიქვამს. რუსეთის მოქალაქეების თემასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინაში ომის ფონზე, საქართველომ 30 000-მდე უკრაინელი ლტოლვილი მიიღო, ასევე, 2021 წელს, ბელარუსში შექმნილი ვითარების გამო, ბელარუსის ათასობით მოქალაქეც ჩამოვიდა საქართველოში. ამდენად, რუსულენოვანი მოქალაქეები მხოლოდ რუსებისაგან არ შედგება, არამედ მასში სწორედ ზემოხსენებული ქვეყნების წარმომადგენლებიც შედიან. რუსების დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა და ამდენად, გადაჭარბებულია ის რიცხვები, რომლებზედაც ხდება აპელირება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე, ეთნიკურ ნიადაგზე, არცერთ სერიოზულ ინციდენტს საქართველოში ადგილი არ ჰქონია.

უკრაინაზე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ქართველებმა სოლიდარობა და მხარდაჭერა მაღალ დონეზე დააფიქსირეს, იქნება ეს პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური თუ სხვა თვალსაზრისით. სახელმწიფო მაქსიმალურად გვერდში უდგას საქართველოში მყოფ უკრაინელ ლტოლვილებს, ქართული მხარე უერთდება უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციებსა და განცხადებებს ყველა საერთაშორისო პლატფორმის ფარგლებში.

***

კომიტეტში გამართული მოსმენის შემდეგ, შეხვედრა შედგა **პარლამენტის თავმჯდომარესთან,** სორენ გადესთან, რომელშიც ასევე მონაწილეობდა დანიაში ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ელისო ბოლქვაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმა საქართველოს პარლამენტის ორი კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტს და საპარლამენტო კავშირების გაძლიერების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მან აღნიშნა, რომ 2024 წელს ევროპარლამენტის მორიგი არჩევნები გაიმართება და ამ კუთხითაც პრიორიტეტულია სწორედ 2023 წლის ბოლოს მოესწროს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. მან ისაუბრა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობაზე, რომელსაც, მისი თქმით, დანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ დანიის ყოფილი პრემიერის, ანდერს ფოგ რასმუსენის პერიოდში შემუშავდა და, ზოგადად, დანია ახალი წევრების მიღებას მხარს უჭერს სწორედ აღნიშნულ - „კოპენჰაგენის კრიტერიუმებზე“ დაყრდნობით.

ნიკოლოზ სამხარაძემ სორენ გადე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის სახელით, თბილისში მიიწვია. სორენ გადემ დაადასტურა, რომ სიამოვნებით ეწვევა საქართველოს და ვიზიტის სავარაუდო ოპტიმალურ პერიოდად 2024 წელი დაასახელა.

დანიის პარლამენტის სპიკერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა.

***

ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრები დანიის წამყვანი ანალიტიკური ცენტრების ხელმძღვანელებთან, კერძოდ „დანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების" დირექტორთან, შარლოტე ფლინდტ პედერსენთან, დანიის პარტიებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის (DIPD) აღმასრულებელ დირექტორთან, ლიზბეტ პილეგორთან, რომელსაც ასევე ესწრებოდა დანიის სოციალურლიბერალური პარტიის წევრი იენს ქრისტიან პოულსენი. შეხვედრებზე აქცენტი გაკეთდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მათ შორის - ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და დაგეგმილ სამომავლო სამუშაოებზე. დანიურმა მხარემ გამოცდილების გაზიარების მზაობა გამოხატა და ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე, მტკიცე მხარდაჭერა დააფიქსირა.